



## საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

### ამაღლობელი ნოდარ სარდიონის ძე



ნ. ამაღლობელი

ამაღლობელი ნოდარ სარდიონის ძე ( 24. VIII. 1930, თბილისი - 9. IV. 2004. იქვე), ფიზიკოსი. საქართვე. მეცნ. აკად. აკადემიკოსი (1988; წ.-კორ. 1979). ფიზიკა-მათ. მეცნ. დოქტორი (1975), პროფესორი (1983), საქართვე. მეცნ. დამს. მოღვაწე (1990).

დაამთავრა თსუ-ის ფიზიკის ფაკ-ტი (1953), 1954-57 სწავლობდა საქართვე. მეცნ. აკად. ფიზ. ინ-ტის ასპირანტურაში, რ-ის დამთავრების შემდეგ მუშაობა დაიწყო იქვე უმცროსი მეცნ. მუშაკის თანამდებობაზე (1957-62). 1962-63 მუშაობდა თსუ-ის ბირთვული ფიზ. სამეცნ.-კვლ. ლაბორატორიაში უფროს მეცნ. თანამშრომლად, 1963-72 - ამ ლაბორ. მაღალი ენერგიების ფიზ. განყ-ბის გამგედ, 1972-73 -ამავე ლაბორ. გამგედ, 1973-80 -თსუ-ის მაღალი ენერგიების ბირთვული ფიზ. პრობლემური სამეცნ.-კვლ. ლაბორ. გამგედ. 1980-იდან თსუ-ის მაღალი ენერგიების ფიზ. ინ-ტის დირექტორია. 1981-85 (ერთდროულად) თსუ-ის პრორექტორი სამეცნ. მუშაობის დარგში, 1985-91 -თსუ-ის რექტორი. სსრკ (ამჟამად რუსეთის) უმაღლესი და საშ. სპეც. განათლების სამინისტროს ბირთვული ფიზ. სექციის მაღალი ენერგიების ფიზ. კომისიის თავ-რე (1970-82); საქართვე. მეცნ. აკად. პრეზიდიუმთან არსებული სამეცნ. ხელსაწყოებისა და სამეცნ. კვლევის ავტომატიზაციის საბჭოს თავ-რე (1987-იდან).

1992-იდან საქართვე. რესპუბლიკის სრულუფლებიანი წარმომადგენელი ბირთვულ გამოკვლევათა გაერთ. ინ-ტში (დუბნა). ა-ის შრომები ეხება ბირთვული და ელემენტარული

ნაწილაკების ფიზ. საკითხებს. ა-ის შრომათა ციკლი ნეიტრალური უცნაური ნაწილაკების დაბადების შესახებ აღინიშნა პ. მელიქიშვილის სახ. პრემიით (1976, სხვებთან ერთად), ხოლო ახ. ვინრო ბარიონული რეზონანსის აღმოჩენისათვის მას მიენიჭა საქართვე. სახელმწ. პრემია (1986, სხვებთან ერთად).

1989–91 იყო სსრკ სახ. დეპუტატი და სსრკ უმაღლესი საბჭოს კავშირის საბჭოს წევრი.

მიღებული აქვს სახელმწ. ჯილდოები.

*თბზ.*: Определение константы связи  $\pi$ -мезон-нуклонного взаимодействия по сечениям упругого рассеяния нейтронов протонами при энергии 630 Мэв, «Журнал экспериментальной и теоретической физики», 1960, т. 38, в. 2 (თანაავტ.); Образование нейтральных странных частиц в  $\pi$ - $p$ ,  $\pi$ - $n$  и  $\pi$ - $c$  взаимодействиях при 40 Гэв/с, «Ядерная Физика», 1973, т. 18, в. 6 (თანაავტ.).

***მ. გელიტაშვილი***

---